ასპინძის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან მერიის ინიციატივით და მხარდაჭერით მიზნობრივი ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ ხარჯვის წესში დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა **ახალდაბადებულ ბავშვიან ოჯახებზე.**

პროგრამულად დახმარება გაიზარდა 60 000 ლარამდე

ა. პირველი ახალშობილის ოჯახზე – 500 (ხუთასი) ლარი;

ბ. მეორე ახალშობილის ოჯახზე –600 (ექვსასი) ლარი;

გ. მესამე ახალშობილის ოჯახზე - 700 (შვიდასი) ლარი;

დ. მეოთხე ახალშობილის ოჯახზე - 800 (რვაასი) ლარი;

ე. მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე ახალშობილის ოჯახზე - 1500 (ათას ხუთასი) ლარი;

ვ. მეათე და ყოველი შემდეგი ახალშობილის ოჯახზე - 5 000 (ხუთი ათასი) ლარი;

ზ. ტყუპი ახალშობილის ოჯახზე -1000(ათასი) ლარი თითოეულზე.

2026 წელს ასევე საგრძნობლად გაიზარდა დაფინანსება მრავალშვილიან და ახალდაბადებულ ბავშვიან ოჯახებზე. მიზნობრივი მიმართულება, ბავშვისა და მათი ოჯახების მხარდაჭერაა.

ა. 4 შვილიანი ოჯახი – 700 (შვიდასი) ლარი;

ბ. 5 შვილიანი ოჯახი – 800 (რვაასი) ლარი;

გ. 6 შვილიანი ოჯახი – 1000 (ათასი) ლარი;

დ. 7, 8 და 9 შვილიანი ოჯახი – 2000 (ორი ათასი) ლარი;

ე. 10 და მეტშვილიანი ოჯახი - 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით 2025 წელს პროგრამაში გათვალისწინებილი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების მატერიალური და მორალური სტიმულირებისათვის დახმარება 400 ლარიდან 1200 ლარის ოდენობით ბავშვთა რაოდენობიდან გამომდინარე.

სულ ფინანსური დახმარებით ისარგებლა 95 ოჯახმა.

4 შვილიანი ოჯახი – 500 (ხუთასი) ლარი;

5 შვილიანი ოჯახი – 600 (ექვსასი) ლარი;

6 შვილიანი ოჯახი – 700 (შვიდასი) ლარი;

7 და მეტშვილიანი ოჯახი – 1200 (ათას ორასი) ლარი.

სულ ისარგებლა 79 ოჯახმა თანხით 49 800 ლარი

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან მერიის ინიციატივით და გადაწყვეტილებით მიზნობრივი ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამაში დიდი ყურადღება მიექცა ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას.

2026 წელს დაფინანსება თითოეულ ბენეფიციარზე გათვალისწინებულია 3000 ლარამდე წლის განმავლობაში და თანხის საერთო რაოდენობა შეადგენს 220000 ლარს. ასევე ონკოლოგიური პაციენტებისათვის PTC.ct - კვლევა 50 %-ის ოდენობით წელიწადში ერთხელ.

2025 წელს აღნიშნული პროგრამით დაფინასება თითოეულ ბენეფიციარზე 2500 ლარს შეადგენდა წლის განმავლობაში -თანხის საერთო რაოდენობამ 170 000 ლარი შეადგინა. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 150 ბენეფიციარმა.

2026 წელს მუდმივად მწოლიარე და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების დაფინანსება გათვალისწინებულია 2000 ლარის ოდენობით, აუტიზმის სპექტრის, დაუნის სინდრომის, ცერებრალური დამბლის, ეპილეფსიის, გონებრივი ჩამორჩენილობის, ატროფიის, აგრეთვე ყავარჯნით მოსარგებლე შშმ პირებს დაუფინანსდებათ სამედიცინო (სააფთიაქო) მომსახურების ხარჯები, ხოლო დიალეზზე მყოფი მოქალაქეებისათვის - შესაბამის სამედიცინო დაწესებულებამდე ტრანსპორტირების ხარჯები 1500 ლარის ოდენობით გაიზარდა ასევე დაემატა ავასტინის ინტრავიტრეალური ინექცია კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარის ოდენობით.

2025 წელს (სააფთიაქო) მომსახურების ხარჯები,დიალეზზე მყოფი მოქალაქეების - შესაბამის სამედიცინო დაწესებულებამდე ტრანსპორტირების ხარჯები შეადგენდა 1300 ლარს, ხოლო მუდმივად მწოლიარე და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების დაფინანსება 2000 ლარს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან მერიის ინიციატივით და მხარდაჭერით მიზნობრივი ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ ხარჯვის წესში დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა.

მკვეთრად გამოხატული მხედველობის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის ერთჯერადი დაფინანსება 2018 წლიდან იყო 250 ლარი, 2024 წლს თითოეული პირისათვის შეადგინა 400 ლარი, ხოლო 2025 წელს დაფინანსება გათვალისწინებულია 500 ლარი.

ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტად კვლავ რჩება მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა და მხარდაჭერა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან მერიის ინიციატივით და მხარდაჭერით მიზნობრივი ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ ხარჯვის წესში დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა.

2025 წლის მიზნობრივი პროგრამის დაფინანსება წლის დასაწყისში შეადგენდა 932 000 ლარს. 2025 წელს გამოყოფილი მიზნობრივი პროგრამის თანხის 100% იქნა მუნიციპალიტეტის მოქალაქეების მიერ ათვისებული და პროგრამას წლის განმავლობაში დაემატა 1 132 000 ლარი.

2026 წელს მიზნობრივი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამისთვის 1 342 000 ლარია გათვალისწინებული.

2024 წელს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება შეადგენდა 100 000 ლარს და სულ დაფინასდა 110 ბენეფიციარი.

2025 წელს მიზნობრივი პროგრამით ქირურგიულ ოპერაციებისთვის თანადაფინანსება შეადგენდა 120 000 ლარს და სულ დაფინანსდა 322 ბენეფიციარი.

2026 წელს მიზნობრივი პროგრამით ქირურგიული ოპერაციებისათვის კვლავ 120 000 ლარია გათვალისწინებული თუმცა გაიზარდა დაფინანსების პროცენტები კერძოდ:

1. მოქალაქეები რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა მონაცემების ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენს 120 000-ზე ნაკლებს, ქირურგიული ოპერაციების ღირებულების დაფინანსება/თანადაფინანსება შეადგენს:

ა. 500 ლარის ჩათვლით სრულად;

ბ. 501 ლარიდან 2500 ლარის ჩათვლით 60%;

გ. 2501 ლარიდან 3500 ლარის ჩათვლით 50%;

დ. 3501 ლარიდან ზევით 40%, არაუმეტეს 3000 ლარისა.

2. მოქალაქეების რომელთა დასაფინანსებელი თანხა აღემატება 500 (ხუთასი) ლარს, ქირურგიული ოპერაციების ღირებულების დაფინანსება/თანადაფინანსება შეადგენს:

ა. 501 ლარიდან 2500 ლარის ჩათვლით 60%;

ბ. 2501 ლარიდან 3500 ლარის ჩათვლით 50%;

გ. 3501 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით 40%;

დ. 5001 ლარიდან ზევით 30%, არაუმეტეს 3000 ლარისა.

3. მუხლისა და მენჯ-ბარძაყის იმპლანტის ღირებულების დაფინანსება/თანადაფინანსება 50%-ის ოდენობით არაუმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარისა.

2026 წლის ბიუჯეტიდან მიზნობრივი მიმართულებით - სტიქიური უბედურების და კატასტროფის დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველადი მოხმარების ნივთების (ფასიანი ბარათის) შეძენა და უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი ფართის დაქირავება. მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი ფართის დაქირავების შემთხვევაში ყოველთვიური ქირის ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით, რომელიც მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ჩაირიცხება გამქირავებლის ანგარიშზე, მერის წარმომადგენლის ან/და მერიის უფლებამოსილი პირის მიერ დაქირავებულ საცხოვრებელ ფართში დამქირავებლის ფაქტობრივად ცხოვრების ყოველთვიური მონიტორინგის შედეგების შესაბამისად.